

საქმე 28/1198-11



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სასამართლო შეტყობინების საჯაროდ
გავრცელების შესახებ

06 ივნისი, 2011წ.

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:
ქეთევან კუჭავა (თავმჯდომარე)
მოსამართლეები:
თამარ ზამბახიძე
თინათინ ეცაღაშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

განმცხადებელი – შპს „ალიანს ჯგუფი ლიზინგი“.

წარმომადგენელი – ელიზბარ ხაჭაპურიძე.

მოწინააღმდეგე მხარე – შპს „ინტერგა“.

განმცხადებლის მოთხოვნა – საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

სასამართლომ გამოარკვია:

08.04.2011წ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „ალიანს ჯგუფი ლიზინგი“-ს წარმომადგენელმა, მოწინააღმდეგე მხარის შპს „ინტერგა“-ს მიმართ სამედიატორო სასამართლოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „მეტეხის“ 2010 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

2011 წლის 17 მაისი განჩინებით შპს „ალიანს ჯგუფი ლიზინგი“-ს განცხადება დაკმაყოფილდა და მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა განჩინების ასლი. შპს „ინტეგრას“ განჩინება არ ჩაბარდა სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე – თბილისი, ზაქარიაძის 8.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით და სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში, სასამართლო განჩინების მხარისათვის ჩაბარება მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილი და შესაძლებელია საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის, თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. ამავე კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან განცხადებლის მოწინააღმდეგე მხარის შპს „ინტეგრას“ ადგილსამყოფელი სასამართლოსათვის ცნობილი არ არის, მას საჯარო შეტყობინებით უნდა 2011 წლის 17 მაისის განჩინების შესახებ.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე და 414-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „ინტეგრას“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 მაისის განჩინების თაობაზე ეცნობოს საჯარო შეტყობინების გზით.
2. 2011 წლის 17 მაისის განჩინების გამოქვეყნება განხორციელდეს სააპელაციო სასამართლოს ვებ გვერდის მეშვეობით.
3. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე:

ქეთევან კუჭავა

მოსამართლეები:

თამარ ზამბახიძე

თინათინ ეცადაშვილი



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/1198-11
“27 ” აპრილი, 2011წ.

თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
ქეთევან კუჭავა (თავმჯდომარე)
მოსამართლეები:
თამარ ზამბახიძე
თინათინ ეცადაშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე.
განმცხადებელი – შპს „ალიანს ჯგუფი“.

მოწინააღმდეგე მხარე – შპს „ინტეგრა“.

განმცხადებლის მოთხოვნა – საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლის ცნობასა და აღსრულებას ითხოვს განმცხადებელი – თბილისის სამედიატორო სასამართლოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „მეტეხი“-ს 2010 წლის 11 სექტემბრის №191/06-10 გადაწყვეტილება.

სასამართლომ გამოარკვია:

თბილისის სამედიატორო სასამართლოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „მეტეხი“-ს 2010 წლის 11 სექტემბრის №191/06-10 გადაწყვეტილებით შპს „ალიანს ჯგუფის“ საარბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილდა და მოპასუხე შპს “ინტეგრა“-ს მის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 13 891,44 (ცამეტი ათას ათას რვაასოთხომცდათერთმეტი) აშშ დოლარის გადახდა, ასევე საარბიტრაჟო მოსაკრებლის 417 (ოთხასჩვიდმეტი) ლარის გადახდა, ასევე აეკრძალა შპს “ინტეგრა“-ს ლიზინგის საგნებით სარგებლობა და დაევალა მათი შპს “ალიანს ჯგუფი ლიზინგის” მფლობელობაში დაბრუნება.

08.04.2011წ. შპს „ალიანს ჯგუფი ლიზინგის“ წარმომადგენელმა ელიზბარ ხაჭაპურიძემ განცხადებით მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომლითაც მოითხოვა ზემოაღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

სააპელაციო სასამართლო გაეცნო შუამდგომლობას, საარბიტრაჟო წარმოების საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹²-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

“არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლების მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356²⁰-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილება გამოიტანება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ. ამავე კოდექსის 356²¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით, გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე გამოტანილ უნდა იქნეს განჩინების ფორმით, შუამდგომლობის მიღების დღიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

სააპელაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადებისა და საქმის მასალების საფუძველზე მიიჩნევს, რომ არ არსებობს “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველები, რის გამოც გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356²¹-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე, საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 356¹²-ე, 356¹³-ე, 356²⁰-ე, 356²¹-ე მუხლებით, “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 44-ე და 45-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „ალიანს ჯგუფი ლიზინგის“ განცხადება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნეს თბილისის სამედიატორო სასამართლოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „მეტეხი“-ს 2010 წლის 11 სექტემბრის №191/06-10 გადაწყვეტილება და დაექვემდებაროს აღსრულებას შემდეგი სახით:

– შპს „ალიანს ჯგუფი ლიზინგის“ საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდეს.

– მოპასუხე შპს “ინტეგრა“-ს გადასახდელად დაეკისროს 13 891,44 (ცამეტი ათას ათას რვაასოთხმოცდათერთმეტი) აშშ დოლარი.

– მოპასუხე შპს “ინტეგრა“-ს დაეკისროს საარბიტრაჟო მოსაკრებლის 417 (ოთხასჩვიდმეტი) ლარის გადახდა.

– აეკრძალოს შპს “ინტეგრას” სალიზინგო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნით:

ა) ავტომანქანა “ვაზ-21213” საიდენტიფიკაციო კოდი XTA21214081879125, გამოშვების წელი 2007, სარეგ. №UTG-591, სარეგისტრაციო მოწმობა AV 1004993.

ბ) ავტომანქანა “ვაზ-21213” საიდენტიფიკაციო კოდი XTA21214081879135, გამოშვების წელი 2007, სარეგ. №UTG-592, სარეგისტრაციო მოწმობა AV 1017002 სარგებლობა.

– დაევალოს შპს “ინტეგრა“-ს სალიზინგო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის:

ა) ავტომანქანა “ვაზ-21213” საიდენტიფიკაციო კოდი XTA21214081879125, გამოშვების წელი 2007, სარეგ. №UTG-591, სარეგისტრაციო მოწმობა AV 1004993.

ბ) ავტომანქანა “ვაზ-21213” საიდენტიფიკაციო კოდი XTA21214081879135, გამოშვების წელი 2007, სარეგ. № UTG-592, სარეგისტრაციო მოწმობა AV 1017002 შპს “ალინს ჯგუფი ლიზინგი”-ს მფლობელობაში დაბრუნება.

3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.

4. შპს “ინტეგრას” შპს „ალიანს ჯგუფი ლიზინგის“ სასარგებლოდ დაეკისროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების განცხადებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 714 ლარის ანაზღაურება.

5. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე:

ქეთევან კუჭავა

მოსამართლეები:

თამარ ზამბახიძე

თინათინ ეცადაშვილი